პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 259 (10653) | კვირა, 4 ნოემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

სოციალისტური ქვეყნების მეგობრობა და ერთიანობა ურღვევია

სსრ კავშირის მთავრობის დეკლარაციას საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისა და შემდგომი განმტკიცების საფუძვლების შესახებ ყველა სოციალისტურ ქვეყანაში მხურვალე მოწონებით შეხვდნენ. მთელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობა აღნიშნავს, რომ ეს არის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც გამსჭვალულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებით. იგი გვიჩვენებს ყველა სოციალისტური ქვეყნის ურღვევი მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისა და შემდგომი განმტკიცების საფუძვლებს, სოციალისტური ქვეყნებისა, რომელთა მოსახლეობა მთელი კაცობრიობის მესამედზე მეტს შეადგენს.

ახალი წყობილების დამკვიდრებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ღრმა რევოლუციური გარდაქმნების პროცესში ცოტა როდი იყო სიძნელე, გადაუჭრელი ამოცანა და პირდაპირი შეცდომა, მათ შორის სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობაშიც, დარღვევები და შეცდომები, რომლებიც აკნინებდნენ სოციალისტური სახელმწიფოების ურთიერთობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ მთელი სიმტკიცით დაგმო ეს დარღვევები და შეცდომები და დასახა ამოცანა, რომ საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად აზორციელებდეს ხალხთა თანასწორუფლებიანობის ლენინურ პრინციპებს თავის ურთიერთობაში სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. მან გამოაცხადა, რომ საჭიროა სავსებით გაეწიოს ანგარიში თვითეული იმ ქვეყნის ისტორიულ წარსულსა და თავისებურებებს, რომელიც ახალი ცხოვრების მშენებლობის გზას დაადგა.

საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად აზორციელებს XX ყრილობის ამ ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ქმნიან პირობებს სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის თვითეული სოციალისტური სახელმწიფოს სრული სუვერენიტეტის დაცვის ურყევ საფუძველზე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს თავის განცხადებაში, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის დეკლარაცია სწორია. ყველა სოციალისტური ქვეყანა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა. ამავე დროს მათ აერთიანებს სოციალიზმის საერთო იდეალები და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთება.

საბჭოთა მთავრობამ გამოთქვა მზადყოფნა, — აღნიშნულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში, — ურთიერთობის სხვადასხვა საკითხი გადაჭრას სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრული მოლაპარაკების გზით სრული თანასწორუფლებიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე. ეს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი უეჭველად შეუწყობს ხელს სოციალისტურ ქვეყნებს შორის დაშორებისა და გაუგებრობის აღმოფხვრას და განმტკიცებს სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეგობრობასა და თანამშრომლობას.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საზოგადოებრიობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირთან კავშირი და მეგობრობა სრული თანასწორობისა და სუვერენიტეტის საფუძველზე შეესაბამება სოციალისტური სახელმწიფოების ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს.

გამოხატავს რა პოლონელი ხალხის უდიდესი უმრავლესობის აზრს, გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“ წერს: „საბჭოთა დეკლარაცია განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საერთაშორისო ასპარეზზე. ეს დეკლარაცია განსაკუთრებული ინტერესით და კმაყოფილებით მიიღო პოლონეთის საზოგადოებრიობამ, რომელიც სასიცოცხლოდ დაინტერესებულია როგორც სსრ კავშირთან კავშირით, ისე ამ კავშირისა და მეგობრობის განმტკიცებით სახელმწიფოთა სრული თანასწორობისა და სუვერენობის საფუძველზე. პოლონეთში არავის არ ავიწყდება, რომ მხოლოდ სსრ კავშირის მეოხებით მივიღეთ თავისუფლება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ“.

ეხება რა თანამშრომლობას სამხედრო დარგში, გაზეთი აცხადებს, რომ საბჭოთა ჯარის ნაწილები პოლონეთში იმყოფებიან უწინარეს ყოვლისა პოტსდამის შეთანხმებისა და ვარშავის ხელშეკრულების საფუძველზე. გაზეთი აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სანამ დასავლეთ გერმანიაში არსებობენ ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის ბაზები, სანამ იქ იმყოფებიან დასავლეთის სახელმწიფოთა ჯარები, საბჭოთა ჯარების ყოფნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საჭირო და სამართლიანია.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ მოწონავე სტატიაში მიუსვამდა იმ ფაქტს, რომ საბჭოთა მთავრობა დეკლარაციაში გამოთქვამს მისწრაფებასა და გულწრფელ სურვილს თავისი ურთიერთობა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან აშენოს და ავითაროს პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და სამხედრო დარგებში სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ორგანო გაზეთი „რუდე პრავო“ კომენტარს უკეთებს საბჭოთა მთავრობის დეკლარაციას და მოუწოდებს განამტკიცონ სოციალიზმის ქვეყნების ერთიანობა და გააფართოონ ურთიერთდახმარება.

სოციალისტური ერები, ხაზგასმით აღნიშნულია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პრესაში, მოლიანად და სავსებით იზიარებენ საბჭოთა მთავრობის დეკლარაციაში გამოთქმულ რწმენას, რომ სოციალისტური ქვეყნების ხალხები ნებას არ მისცემენ შინაურ და გარეშე რეაქციულ ძალებს შეარყიონ სახალხო-დემოკრატიული წყობილების საფუძვლები.

აძლიერებენ რა თავიანთ სიფხიზლეს რეაქციული ელემენტების ხრიკებისადმი, აღნიშნავს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საზოგადოებრიობა, სოციალისტური ქვეყნების ხალხები განსხვავებენ ხალხის ფართო მასების სამართლიან მოთხოვნებს რეაქციული ელემენტების შეთქმულებითი საქმიანობისაგან. უნგრეთის ამბების გაკვეთილები გვასწავლიან, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანია ამ განსხვავების უნარი. „საკითხი ხალხის უაღრესად ფართო მასების დარაზმვისა რეაქციული ელემენტების მეტად მცირე რიცხვის წინააღმდეგ ბრძოლაში,—ნათქვამია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში, — არის არა მარტო ისეთი საკითხი, რომელიც ეხება ცალკეულ სოციალისტურ ქვეყანას, არამედ საკითხი, რომელიც ბევრი სოციალისტური ქვეყნის, მათ შორის ჩვენი ქვეყნის ყურადღების ღირსია“. მთელი რიგი სოციალისტური ქვეყნების პრესა სამართლიანად აღნიშნავს, რომ უნგრეთის უკანასკნელი დღეების ამბები მოწმობენ, რომ გაძლიერდა საფრთხე მშრომელთა სოციალისტური მონაპოვრებისათვის შავი რეაქციის გააქტივებული ძალების მხრივ.

აშენებენ რა თავიანთ ურთიერთობას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიად პრინციპებზე, სოციალისტური სახელმწიფოები თავიანთ მეგობრობასა და ურთიერთ თანამშრომლობას ხდიან უფრო მტკიცესა და ურღვევს, ხელს უწყობენ ეროვნული ეკონომიკის, კულტურის შემდგომ ზრდას და თვითეული სოციალისტური სახელმწიფოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას და მთლიანად სოციალიზმის ქვეყნების დიადი თანამეგობრობის ძალიერების უფრო განმტკიცებას. დაირაზმებიან რა უფრო მჭიდროდ, სოციალისტური ერების დიადი თანამეგობრობის ქვეყნები ახალ თვალსაჩინო გამარჯვებებს მოიპოვებენ სოციალიზმის მშენებლობასა და მშვიდობის განმტკიცებაში.

„პრავდის“ 3-XI მოწინავე.

საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკება

2 ნოემბერს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი.

სირიის რესპუბლიკის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს სირიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა შუქრი კუვატლიმ, საგარეო საქმეთა მინისტრმა სალაჰ ედ-დინ ბითარმა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა რაშად ჯაბრიმ, თავდაცვის მინისტრმა აბდულ ჰასიბ რასლანმა, პრეზიდენტის კანცელარიის გენერალურმა მდივანმა ფოად ჰალებიმ.

მოლაპარაკებას დაესწრნენ: საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრი მ. ა. ევსეენკო და სხვა ოფიციალური პირები.

მოლაპარაკებაზე განხილული იყო აქტუალური საკითხები, რომლებიც აინტერესებს ორივე მეგობარ სახელმწიფოს. საუბარს გულითადი და მეტად მეგობრული ხასიათი ჰქონდა. (საკდესი).

თვითმფრინავიდან

მის აღმატებულებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინს

მოსკოვი, კრემლი.

ვტოვებ რა მეგობარი მეზობელი ქვეყნის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიას, მსურს გამოვთქვა ჩემი გულითადი გრძნობები და გულწრფელი მადლობა სსრ კავშირის მთავრობისა და ხალხისადმი ჩვენთვის აღმოჩენილი სტუმართმოყვარეობის გამო.

უაღრესად საუკეთესო მოგონებანი საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობაზე, რომლებიც ჩვენ დავგრჩა მოგზაურობის შედეგად, არა მარტო ძვირფასი იქნება ჩემთვის და ჩემი თანამგზავრებისათვის, არამედ მათ გადავცემთ ავღანელ ხალხს ნამდვილი მეგობრებისა და კეთილი მეზობლების ცოცხალი წერილის სახით.

მსურს ავღანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის განგრძობა და განმტკიცება.

ერთხელ კიდევ მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები, მეგობრული გრძნობები და გულითადი მადლობა.

ზაჰირ დაუდი.

1956 წლის 2 ნოემბერი.

დაუყოვნებლივ შეწყდეს შეიარაღებული აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

ეგვიპტის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის შესახებ

ისრაელის ჯარებმა, რომლებსაც აქეზებენ იმპერიალისტური სახელმწიფოები, უწინარეს ყოვლისა ინგლისი და საფრანგეთი, მოახდინეს შეიარაღებული აგრესიის აქტი ეგვიპტის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მთელი მსოფლიოსათვის ცხადია, რომ ისრაელის თავდასხმა ეგვიპტეზე წამოწყებულია იმისათვის, რომ საბაბი შექმნას ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების შეჭრისათვის არაბთა სახელმწიფოების ტერიტორიაზე და სუეცის არხის ზონის ხელში ჩაგდებისათვის. ახორციელებენ რა აგრესიულ ზრახვებს, ინგლისმა და საფრანგეთმა თავიანთი ჯარები გაგზავნეს ეგვიპტის ტერიტორიის დასაპყრობად, ბომბავენ სუეცის არხის ზონას და ეგვიპტის დედაქალაქ კაიროს.

ინგლისი და საფრანგეთი ცდილობენ არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ იმპერიალისტური შეთქმულება გაამართლონ ეგრეთწოდებული ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის 1950 წლის დეკლარაციის დამოწმებით. ამ ცალმხრივი კოლონიალისტური დეკლარაციით სამმა სახელმწიფომ მიითვისა ახლო აღმოსავლეთში სამხედრო ჩარევის უფლება „ამ რაიონში მშვიდობისა და სტაბილობის დაცვის“ საბაბით.

მაგრამ ცნობილია, რომ აღნიშნული დეკლარაცია ერთსულოვნად უარყო და დაგმო არაბთა ყველა სახელმწიფომ, რომლებიც ასეული წლების მანძილზე განიცდიდნენ ჩაგვრასა და ექსპლოატაციას კოლონიზატორთა მხრივ.

დაადგნენ რა ეგვიპტის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის დანაშაულებრივ გზას, ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობებმა ამით ჩაიდინეს მოქმედება, რომელიც აშკარად შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებთან და მიზნებთან და საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებთან.

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა გადაჭრით გმობს ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობათა შეიარაღებულ აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ. უკრაინელი ხალხი ღრმა თანაგრძნობით ეკიდება ეგვიპტელი ხალხის სამართლიან ბრძოლას სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. უკრაინის ხალხი თავის ხმას უერთებს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ხმას, რომლებიც მოითხოვენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიამ, რომელიც ამჟამად მოწვეულია ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის საკითხის განსახილველად, მიიღოს დაუყოვნებლივი და გადამწყვეტი ღონისძიებანი ეგვიპტის მიმართ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიული მოქმედების შესაწყვეტად და ეგვიპტის ტერიტორიიდან აგრესორთა ჯარების დაუყოვნებლივ გასაყვანად მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ მთელი პასუხისმგებლობა საშიში შედეგებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიულ მოქმედებასთან, მთლიანად ეკისრებათ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობებს, რომლებიც დაადგნენ მშვიდობისა და უშიშროების დარღვევის გზას, აგრესიის გზას.

ყაზახეთის სსრ მთავრობის განცხადება

ეგვიპტის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის შესახებ

უხეშად გთელეს რა სუვერენული ეგვიპტის სახელმწიფოს კანონიერი უფლებები, ინგლისმა, საფრანგეთმა და ისრაელმა მოახდინეს შეიარაღებული აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, რათა აიძულონ მისი მთავრობა უარი თქვას სუეცის არხის ნაციონალიზაციაზე და აღადგინონ კოლონიური ჩაგვრის რეჟიმი ახლო და შუა აღმოსავლეთში.

იმ დღეებში, როცა მსოფლიოს ხალხები იბრძვიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ყველა სადავო საკითხის მშვიდობიანი საშუალებით გადაჭრისათვის, ინგლის-საფრანგეთის ავიაცია ბომბავს ეგვიპტის ქალაქებსა და სოფლებს, ღვრის მშვიდობისმოყვარე ეგვიპტელი ხალხის სისხლს.

თავიანთი აგრესიული მოქმედებით ინგლისმა, საფრანგეთმა და ისრაელმა აშკარად დაარღვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება სუეცის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ.

ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა, უცხადებს რა მხურვალე თანაგრძნობას ეგვიპტელი ხალხის სამართლიან ბრძოლას, რომელიც იცავს თავის ეროვნულ დამოუკიდებლობას, გადაჭრით გმობს ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიულ მოქმედებას, მხარს უჭერს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, გაყვანილ იქნან ინტერვენტთა ჯარები მისი ტერიტორიიდან და მიღებულ იქნას გადამწყვეტი ღონისძიებანი აგრესორთა მიმართ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მხრივ.

1956 წლის 1 ნოემბერი.

მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

ეგვიპტის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის შესახებ

ეგვიპტის ტერიტორიაზე ისრაელის ჯარების შეჭრის შემდეგ ინგლისი და საფრანგეთი, იმოწმებენ რა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის 1950 წლის კოლონიალისტურ დეკლარაციას, რომელიც ერთსულოვნად უარყო არაბთა ყველა სახელმწიფომ, ამზადებენ თავიანთ ჯარებს ეგვიპტის ტერიტორიაზე გადმოსასხმელად. ინგლის-საფრანგეთის ავიაცია ბომბავს კაიროს, ალექსანდრიას, პორტ-საიდს, სუეცსა და ეგვიპტის სხვა ქალაქებს. ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალები ცეცხლს უშენენ ეგვიპტის გემებს.

მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობათა მოქმედება წარმოადგენს შეიარაღებული აგრესიის აქტს და აშკარად და უხეშად არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ორგანიზაციისა, რომლის წევრებიც არიან როგორც აგრესორი სახელმწიფოები, ისე ეგვიპტე, რომელსაც თავს დაესხნენ. ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის შეიარაღებული აგრესია უხეშად არღვევს ეგვიპტის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ ხელშეუხებლობას და მიზნად ისახავს იმას, რომ იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ხელში ჩაიგდონ სუეცის არხი, ეგვიპტელი ხალხის ძველთაძველი საკუთრება, აღადგინოს კოლონიური ჩაგვრის რეჟიმი არაბთა აღმოსავლეთში, დათრგუნოს ყველა ხალხი, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა გადაჭრით გმობს ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობათა აგრესიულ მოქმედებას ეგვიპტის მიმართ და მხურვალედ თანაუგრძნობს ეგვიპტელ ხალხს, რომელიც მამაცურად იცავს თავის ეროვნულ დამოუკიდებლობას. მოლდავეთის სსრ მთავრობა, გამოხატავს რა მოლდაველი ხალხის ნებას, მთლიანად უერთდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის 1956 წლის 31 ოქტომბრის განცხადებას ეგვიპტის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის შესახებ.

რესპუბლიკის მთელი ხალხის სახელით მოლდავეთის სსრ მთავრობა თავის ხმას უერთებს ქვეყნებს, რომლებიც მოუწოდებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიიღოს ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებანი აგრესორებს — ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მიმართ, და მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს საომარი მოქმედება ეგვიპტის წინააღმდეგ, გაყვანილ იქნან ინტერვენტთა ჯარები ეგვიპტის ტერიტორიიდან, აღდგენილ იქნას მშვიდობა არაბთა აღმოსავლეთში.

მოლდავეთის სსრ მთავრობას მიაჩნია, რომ აგრესიული ქვეყნების — ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობებს მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ კაცობრიობის წინაშე ეგვიპტის წინააღმდეგ შეიარაღებული ინტერვენციის გაჩაღებისათვის, ეგვიპტელი ხალხის სისხლისა და ტანჯვისათვის.

კიშინიოვი, 1956 წლის 1 ნოემბერი.

უზბეკეთის სსრ მთავრობის განცხადება

ეგვიპტეზე აგრესორების ვერაგული თავდასხმის შესახებ

უზბეკი ხალხი დიდად აღაშფოთა ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის შეიარაღებული აგრესიის აქტმა, რომელთა ჯარები შეიჭრნენ ეგვიპტის ტერიტორიაზე და საომარ მოქმედებას ეწევიან. ბარბაროსულად დაბომბეს ჰაერიდან და ზღვიდან ეგვიპტის დედაქალაქი კაირო, ქალაქები, ნავსადგურები და დასახლებული პუნქტები. იღვრება თავისუფლებისმოყვარე ეგვიპტელი ხალხის სისხლი.

ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედებით ინგლისმა, საფრანგეთმა და ისრაელმა უხეშად დაარღვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და თელავენ სუვერენული ეგვიპტის სახელმწიფოს კანონიერ უფლებებს. დაირღვა მშვიდობა ახლო და შუა აღმოსავლეთში.

უზბეკეთის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან და მთელი მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებთან ერთად გულწრფელად თანაუგრძნობენ ეგვიპტელ ხალხს, რომელიც მამაცურად იცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

უზბეკეთის სსრ მთავრობა, გამოთქვამს რა უზბეკი ხალხის ნებას, გადაჭრით გმობს ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობათა ვერაგულ აგრესიას ეგვიპტის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თავის ხმას უერთებს ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის ხმას, რომელნიც მოითხოვენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელოს აგრესორთა წინააღმდეგ ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის შესანარჩუნებლად.

უზბეკეთის ხალხები მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყდეს საომარი მოქმედება ეგვიპტის წინააღმდეგ და გაყვანილ იქნან ინტერვენტთა ჯარები ეგვიპტის ტერიტორიიდან.

ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობა და სამართლიანობა უნდა აღდგეს!

1956 წლის 1 ნოემბერი.

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

ეგვიპტის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის შესახებ

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ შეიტყო, რომ 29 ოქტომბერს ღამით მოხდა აქტი, რომელიც უხეშად თელავს საერთაშორისო ცხოვრების უფლებრივ და მორალურ ნორმებს, არღვევს ვალდებულებებს, რომლებიც საჯაროდ იკისრეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა, — მოხდა ისრაელის ჯარების შეჭრა და საომარი მოქმედების გაჩაღება ეგვიპტის ტერიტორიაზე.

საბჭოთა სომხეთის მთავრობას აღნიშნული მოქმედება მიაჩნია აშკარა აგრესიის აქტად ისრაელის მმართველი წრეების მხრივ, აქტად, რომელიც სერიოზულ საფრთხეს შეიცავს მშვიდობის საქმისათვის ახლო აღმოსავლეთში, და არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ აგრესია, რომელიც ისრაელის მთავრობამ დაიწყო, საფრთხეს შეიცავს უწინარეს ყოვლისა თვით ისრაელის სახელმწიფოსათვის, რომელმაც თავისი თავი დაუპირდაპირა არაბთა ქვეყნებს, რომლებიც დაადგნენ თავიანთი ეროვნული განთავისუფლების გზას, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გმირულ გზას.

ეგვიპტის ტერიტორიაზე ისრაელის ჯარების შეჭრას დასავლეთის სახელმწიფოები, კერძოდ ინგლისი და საფრანგეთი იყენებენ როგორც საბაბს ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების გასაჩაღებლად, რასაც მოწმობს ინგლისისა და საფრანგეთის ულტიმატუმი, რომელიც ეგვიპტეს წარედგინა ამ წლის 30 ოქტომბერს და ის ფაქტი, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა თავიანთი ჯარები გაგზავნეს ეგვიპტის ტერიტორიაზე გადასასხმელად.

ყურადღებით ადევნებს რა თვალყურს ამბების განვითარებას სუეცის არხის რაიონში, საბჭოთა სომხეთის მთავრობა მწუხარების გრძნობით აღნიშნავს, რომ მიუხედავად სამართლიანი პროტესტის ხმისა, რომელიც მთელმა რიგმა ქვეყნებმა აღიმაღლეს ეგვიპტის წინააღმდეგ გაჩაღებული აგრესიის გამო, ინგლისი და საფრანგეთი განაგრძობენ აგრესიულ მოქმედებას და ბომბავენ ეგვიპტის ტერიტორიას.

აღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები, უხეშად თელავენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს, საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპებსა და ეგვიპტის სუვერენული სახელმწიფოს კანონიერ უფლებებს, ფაქტიურად დაადგნენ ეგვიპტის წინააღმდეგ შეიარაღებული ინტერვენციის გზას.

ეგვიპტელი ხალხის სამართლიანი ბრძოლა თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის აღმოსავლეთის ყველა ხალხის, მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ღრმა თანაგრძნობას იწვევს. საბჭოთა სომხეთის მთავრობა უერთდება იმ ქვეყნების განცხადებებს, რომლებმაც დაგმეს აგრესიის ინიციატორები, და მტკიცედ გმობს ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მმართველი წრეების პოლიტიკას, რომლებიც დაადგნენ შეიარაღებული ინტერვენციისა და საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგების პრინციპზე უარის გზას. ამასთან ერთად, საბჭოთა სომხეთის მთავრობა აცხადებს, რომ პასუხისმგებლობა იმ აგრესიის შედეგებისათვის, რომელიც დასავლეთის ზოგიერთმა ქვეყანამ და ისრაელმა დაიწყეს სუეცის არხის ზონაში, მთლიანად ეკისრება ამ ქვეყნების მთავრობებს.

საბჭოთა სომხეთის მთავრობას მიაჩნია, რომ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მოქმედება ეგვიპტის მიმართ არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს, მისი წესდების სულისკვეთებას, თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების არც ერთ ნორმას, და მიმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მოწოდებით მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიებანი აგრესორების წინააღმდეგ. სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა რწმენას გამოთქვამს, რომ ეგვიპტეს მსხვერპლად არ მიუტანენ ცალკეულ სახელმწიფოთა კოლონიურ ინტერესებს.

1956 წლის 1 ნოემბერი.

ერევანი.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის განცხადება

საბჭოთა ხალხი მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად გულისწყრომით გმობს ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის იმპერიალისტური წრეების დანაშაულებრივ მოქმედებას, რომლებმაც შეიარაღებული თავდასხმა მოახდინეს ეგვიპტეზე. ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგ ამ აგრესიული ომის მიზანია აღადგინონ კოლონიური წესწყობილება ეგვიპტეში და ახლო და შუა აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი აცხადებს, რომ იგი მხურვალედ თანაუგრძნობს ეგვიპტელ ხალხს მის მამაცურ და სამართლიან ბრძოლაში თავისა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხების მოთხოვნების შესაბამისად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაუყოვნებლივ მიიღებს ღონისძიებებს ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ და მიაღწევს იმას, რომ დაუყოვნებლივ იქნენ გაყვანილი ინტერვენციონისტული ჯარები ეგვიპტის ტერიტორიიდან.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი იწონებს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ინიციატივას მოწვეულ იქნას უახლოეს დღეებში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს საგანგებო სხდომა ეგვიპტის წინააღმდეგ შეიარაღებულ აგრესიასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად.

მშვიდობის დაცვა მოითხოვს აქტიურ მოქმედებას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს შეიარაღებული აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, აღდგეს მშვიდობა და სამართლიანობა.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი.

რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის

★

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა აქტივის კრებაზე

★

თბილისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა აქტივის კრება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

კრება გახსნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მეტანაძემ. კრებამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის გ. სიხარულიძის მოხსენება.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადწყვეტილებებს ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ, გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

საქართველოს სასპორტო დელეგაციებმა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე და მოსწავლეთა სრულიად საკავშირო სპარტაკიადაზე მეხუთე საერთო გუნდური ადგილი დაიკავეს. ისეთ სახეობათა სპორტში, როგორიც არის ფეხბურთი, წყალბურთი, ფარიკაობა, ნიჩბოსნობა, წყალში ხტომა, სასტენდო სროლა, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, მიღწეულია მაღალი შედეგები.

1956 წელი იყო ფიზკულტურული კოლექტივების მასობრივ შეჯიბრებათა წელი, რომლებმაც ჩაიარა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ახალი აღმავლობის ნიშნით. რესპუბლიკის ათასობით ქალაშვილმა და ჰაბუკმა — ქართველებმა, რუსებმა, სომხებმა, აფხაზებმა, ოსებმა, ბევრი სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა ერთიან ძმურ ოჯახში ცხადყვეს თავიანთი მიღწევები ფიზკულტურასა და სპორტში.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში იმ პირთა რიცხვი, რომლებიც საქართველოში ფიზკულტურასა და სპორტს მისდევენ, 25 ათასით გადიდდა. შეიქმნა 79 ახალი ფიზკულტურული კოლექტივი. შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო 3 ათასზე მეტმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა, 250 ათასზე მეტმა სპორტსმენმა. დამყარებულია ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქებისა და ქალაქების 624 რეკორდი, საქართველოს სსრ 124 რეკორდი, 4 საკავშირო და 3 მსოფლიო რეკორდი.

ამასთან ერთად სპარტაკიადებმა გამოავლინეს არსებითი ნაკლოვანებანი რესპუბლიკის ფიზკულტურულ და სასწავლო-სასპორტო მუშაობის ორგანიზაციაში. არადამაკმაყოფილებლად ვითარდება ფიზიკური კულტურა და სპორტი ყაზბეგის, ასპინძის, ადიგენის, ბოგდანოვკის, მესტიისა და რესპუბლიკის სხვა მთიან რაიონებში. შეჯიბრების ფინალმა ცხადყო სერიოზული ჩამორჩენა სპორტის ისეთ მასობრივ სახეობებში, როგორიც არის მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ველოსპორტი.

დაბალი აღმოჩნდა სპორტულ-ტექნიკური შედეგები, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე უჩვენეს რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდებმა ძალოსნობაში, ველოსპორტში, ცხენოსნობაში, ტყვიის სროლაში და, განსაკუთრებით, მძლეოსნობაში. სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიც არის კლასიკური ჭიდაობა, კალათბურთი, ტანვარჯიში, სიმძიმეების აწევა, რესპუბლიკის ზოგიერთი წამყვანი სპორტსმენი თავის შესაძლებლობაზე გაცილებით დაბლა აღმოჩნდა.

კრებაზე აღინიშნა რესპუბლიკის კალათბურთელ ვაჟთა გუნდის წარმატებული გამოსვლა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე. კრების მონაწილენი ვერ დაეკმაყოფილა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის კაპიტანის სპორტის დამსახურებული ოსტატის ო. ქორქიას გამოსვლამ. მან ვერ გამოავლინა გუნდის სპორტული შედეგების დაქვეითების ნამდვილი მიზეზები. ძირითადი მიზეზებია ის, რომ მწვრთნელი და კალათბურთის ოსტატები, მათ შორის ამხ. ქორქია, არ ზრუნავენ თავიანთი ღირსეული ცვლის მომზადებისათვის.

მოხსენებასა და კამათის მონაწილეთა სიტყვებში მოცემული იყო რესპუბლიკის მასობრივი ფიზკულტურული და სასწავლო-სასპორტო მუშაობის განვითარების სერიოზულ ნაკლოვანებათა მიზეზების ანალიზი. ბევრი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ჯეროვნად ვერ აფასებს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების მნიშვნელობას, რომლებიც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის და შრომისა და თავდაცვისათვის მისი მომზადების ერთ-ერთი საშუალებაა. მთლიანად არ არის გამოყენებული არსებული ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ ფართოდ ჩაბმულ ფიზკულტურასა და სპორტში მუშა, კოლმეურნე და მოსწავლე ახალგაზრდობა.

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანმა გ. გეგეშიძემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მთელი რიგი ხელმძღვანელები იმის ნაცვლად, რომ ფართოდ ჩაბმულ მშრომელები ფიზკულტურულ და სპორტულ მეცადინეობაზე შექმნან ამისათვის საჭირო პირობები, კმაყოფილდებიან მოწოდებებით ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის განვითარების შესახებ. პარტიის ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის, 26 კომისრის რაოკომებს ამ ბოლო დროს არ განუხილავთ ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე სასპორტო მუშაობის საკითხები. ქალაქის უდიდეს საწარმოებში სუსტად ზრდიან სპორტსმენთა ახალ შევსებას, ჯეროვნად არ ზრუნავენ სპორტის მასობრიობისათვის. ახალგაზრდობას არ უნერგავენ მასწრაფებას იბრძოლოს თავისი საწარმოს, რაიონის, ქალაქის სპორტული ღირსებისათვის.

ამხ. გეგეშიძე ამბობს, რომ საჭიროა გადაიღახოს კამპანიურობის ხასიათი რესპუბლიკის სპორტულ მუშაობაში და მოუწოდებს ქართველ სპორტსმენთა კარგი სახელის აღდგენისა და გამრავლებისაკენ.

კრებაზე სერიოზულად გააკრიტიკეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი და ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც სუსტად ხელმძღვანელობენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას. აღინიშნა, რომ ისინი კონკრეტულ დახმარებას არ უწევენ მუშაობაში ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, საწარმოთა, სასწავლებელთა ძირეულ კოლექტივებს. ცოტა კომკავშირელი ჩაბმული სპორტულ მუშაობაში. კომკავშირის ხელმძღვანელი მუშაკები პირად მაგალითს არ უჩვენებენ სასპორტო სექციებში მეცადინეობით.

სამხრეთ ოსეთის კომკავშირული ორგანიზაციებს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ნაკლოვანებებზე, კერძოდ, მოსწავლე ახალგაზრდობაში, ილაპარაკა კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ვ. ცხოვრებოვმა. მან შეიტანა წინადადება გამსჯელდეს წვრილი სასპორტო ორგანიზაციები, აღნიშნა, რომ საჭიროა ოლქში განვითარდეს სპორტის ისეთი სახეობანი, როგორიც არის ცხენოსნობა, ცურვა და სხვ.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თ. ჯანელიძემ სამართლიანად აღიარა რესპუბლიკის მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განვითარებისადმი კომკავშირის ხელმძღვანელობის ნაკლოვანებათა კრიტიკა. მან ილაპარაკა ფიზკულტურისა და სპორტის სიყვარულის დანერგვაზე მოსწავლეებში და სტუდენტ ახალგაზრდობაში. პირველი სპორტული ჩვევები ახალგაზრდობამ სკოლაში უნდა შეიძინოს. მაგრამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ცუდად ზრუნავს მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისათვის. იგი სუსტად უწევს კონტროლს ფიზკულტურის მასწავლებელთა მუშაობას, უარიგდება არსებულ სასპორტო ნაგებობათა არადანიშნულებისამებრ გამოყენებას, ცოტა საზაფხულო სასპორტო ბანაკებს ქმნის მოსწავლეებისათვის.

ამხ. ჯანელიძემ აღნიშნა კარგი ინიციატივა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტისა“, რომელმაც მოაწყო ქუჩების ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება, რამაც გამოავლინა ბევრი ნორჩი სპორტსმენი, რომელთაგან უნდა მომზადდნენ ფეხბურთის ოსტატები.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ თ. ზახაშვილმა აღიარა, რომ ბევრ სკოლაში ჯერ კიდევ ვერ აფასებენ ჯეროვნად მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის დიდ მნიშვნელობას საერთო სასწავლო-პედაგოგიურ პროცესში. რვაწლიან სკოლებს აკლიათ ფიზკულტურის მასწავლებლები. საკმარისი არ არის სასპორტო ინვენტარი, რომელიც გამოსადეგი იყოს სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის. უფრო ფართოდ უნდა განვითარდეს ბავშვთა სპეციალიზებული სასპორტო სკოლები. მაგრამ ამხ. ზახაშვილმა არა თქვა, თუ რა კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებს სამინისტრო სკოლებში სასწავლო-სასპორტო მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

თითქმის ყველა ორატორი ლაპარაკობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებზე. ისინი ჯეროვნად არ იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლებას სახელმწიფო კონტროლი გაუწიონ პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების, სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობას ფიზკულტურისა და სპორტის დარგში. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ხელმძღვანელობა სოფლად. სერიოზული ნაკლოვანებებია მწვრთნელებისა და მასწავლებლების კადრების მომზადებისა და გადამზადების საქმეში.

ნელა ინერგება სიახლე წვრთნის მეთოდიკაში. პრაქტიკაში არ არის შემოღებული წამყვანი მწვრთნელების გამოცდილების გაზიარება. თბილისის ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი არ განაზოგადებს რესპუბლიკისა და მთელი ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა და მწვრთნელთა საუკეთესო მიღწევებს.

კრებაზე აღინიშნა, რომ ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოები სუსტად ეხმარებიან ძირეულ სპორტულ კოლექტივებს. ყვარლის რაიონის 17 კოლმეურნეობაში დღემდე არ არის შექმნილი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები.

მოხსენებაში და წარმოთქმულ სიტყვებში მოყვანილი იყო მრავალი მაგალითი, რომლებიც მოწმობენ, რომ სამრეწველო საწარმოთა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ბევრი ხელმძღვანელი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობას.

გორის ბამბეულის კომბინატში (დირექტორი ბ. სლუცკი), სადაც მუშაობს 4.000-მდე მუშა და მოსამსახურე, ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „წითელი დროშის“ ძირეული კოლექტივი მხოლოდ 270 კაცს აერთიანებს. კომბინატსა და ფიეტართა დაბას არა აქვს სპორტული დარბაზები და უმარტივესი მოედნებიც კი. ახალგაზრდა მუშებს სპორტით მეცადინეობისათვის აქვთ მხოლოდ ერთი ბაღრო, ბირთვი და რამდენიმე ბურთი.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ე. ტაკიძემ აღნიშნა, რომ სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში ქალაქში მნიშვნელოვნად გადიდდა ფიზკულტურელთა რაოდენობა. მაგრამ მუშაობა მათი ოსტატობის გაუჯობესებისათვის სუსტად მიმდინარეობს. რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ქუთაისელმა სპორტსმენებმა მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავეს. ეს, კერძოდ, აიხსნება იმით, რომ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სუსტ კონტროლს უწევენ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას.

სპორტსმენებში მორალისა და ნებისყოფის მაღალი თვისებების დანერგვაზე ილაპარაკა თავის სიტყვაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. კუჭავამ. თუ, აღნიშნა მან, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე წყალბურთელებმა, ნიჩბოსნებმა და საქართველოს სხვა გუნდებმა გამოავლინეს მაღალი მორალური თვისებები, ცხადყვეს სპორტული დისციპლინის ნიშნები, ცხენოსნებმა, პიროქით, გამოამჟღავნეს თავიანთი ცუდი მხარე. საჭირო გახდა გუნდიდან გაგვერეკა არა მარტო ორი სპორტსმენი, არამედ მწვრთნელიც. საქართველოს ტანმოვარჯიშეებს, რომლებიც ემზადებოდნენ შეჯიბრებისათვის „სათბურის“ პირობებში, არ ჰქონდათ სათანადო სპორტული წრთობა და ცუდი ამინდის გამო მათ მნიშვნელოვნად გაუუარესეს თავიანთი შედეგები.

ამხ. კუჭავამ აღნიშნა, რომ შეჯიბრებებს რესპუბლიკაში ხშირად არა აქვს მასობრივი ხასიათი და იმართება ისე, რომ არ არის სპორტული აღმავლობა. იმის გამო რომ რომელიმე ერთ „პრივილეგირებულ“ გუნდში არჩევენ უფრო ძლიერ სპორტსმენებს, ინტერესი შეჯიბრებისადმი იკარგება, რადგან გამარჯვებული წინასწარ ცნობილია. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვითარდეს მძლეოსნობა, როგორც სპორტის ყველაზე მასობრივი სახეობა.

კრებაზე დიდი ყურადღება მიექცა ახალი სტადიონების, დარბაზებისა და სხვა სასპორტო ნაგებობათა შენებლობის და არსებულის კეთილმოწყობის საკითხს, ურომლისოდაც არ შეიძლება უზრუნველყოთ ნამდვილად მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განვითარება. აღინიშნა, რომ ამ მხრივ 1955-56 წლებში მიღწეულია გარკვეული ძვრები, მაგალითად, თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, გორში, ბორჯომსა და სხვა ადგილებში დაწყებულია ღია აუზების შენებლობა. თბილისში მთავრდება სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ სტადიონის შენებლობა, რომელიც გათვალისწინებულია 25 ათასი მაყურებლისათვის. საექსპლოატაციოდ გადაეცა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ახალი სასპორტო დარბაზები, კალათბურთის სტადიონი ქუთაისში, სტადიონი ტყვარჩელში, სასროლო ტირი დიდ ჯიხანში და მთელი რიგი სხვა სასპორტო ნაგებობანი.

1957 წელს თბილისის სპორტსმენები მიიღებენ ახალ სატანვარჯიშო დარბაზს სანაპიროზე. ახალგაზრდობისათვის კარგი საჩუქარია დიდი სადემონსტრაციო დარბაზის აშენება 10 ათასი მაყურებლისათვის თბილისის საბურთალოს რაიონში. უახლოეს ხანში თბილისში დაიწყება ზამთრის საცურავი აუზის მშენებლობა.

მაგრამ სასპორტო ნაგებობანი საქართველოში ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ისინი ვერ აკმაყოფილებენ სპორტსმენთა განუწყვეტლივ მზარდ მოთხოვნილებებს. მაგალითად, რესპუბლიკის დედაქალაქში ფეხბურთის მხოლოდ 12 მოედანია, აქედან მხოლოდ 3 არის სავსებით გარგისი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 104 სკოლას სულ 3 პრიმიტიულად მოწყობილი სასპორტო დარბაზი აქვს.

ამავე დროს სასპორტო ნაგებობანი რესპუბლიკაში მეტად ნელი ტემპით შენდება. საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო სისტემატურად არღვევს საექსპლოატაციოდ მათი გადაცემის დაწესებულ ვადებს. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველო აჰიანურებენ მთელ რიგ სასპორტო ნაგებობათა რეკონსტრუქციას. არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობა ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურმა კომიტეტმა ვერ უზრუნველყო წყალჯიმარდობის სადგურის მშენებლობა „თბილისის ზღვაზე“. უკვე 9 წელია შენდება სტადიონი ცყალტუბოში. მესამე წელია შენდება სასპორტო საზოგადოება „ვოდნიკის“ სტადიონი ფოთში.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. თხილაიშვილმა თავის სიტყვაში აღძრა საკითხი, რომ საჭიროა გაიშალოს სასპორტო ნაგებობათა მშენებლობა აჭარაში. მან გააკრიტიკა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი იმისათვის, რომ არასწორად ანაწილებს მწვრთნელებს და სუსტად უწევს კონტროლს თანრიგოსან სპორტსმენთა და მშთ ნიშნოსანთა მომზადებას. ამხ. თხილაიშვილი შეეხო ზოგიერთ წარმატებას მასობრივი სპორტის განვითარებაში, რომლებიც მიღწეულია აჭარაში სპარტაკიადისათვის მზადებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ საჭიროა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ჩავებათ ქალები, მასობრივად განვავითაროთ სპორტის ისეთი სახეობები, როგორიც არის ჩოგბურთი, ცურვა და სხვ.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ რ. ხიკუბამ ილაპარაკა იმაზე, რომ რესპუბლიკაში ჩამორჩენა საიალქნო და სანიჩბოსნო სპორტი. მან გააკრიტიკა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „პიშჩევიკის“ რესპუბლიკური საბჭო, რომელიც ცუდად ხელმძღვანელობს თავის ძირეულ ორგანიზაციებს.

საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის აღმინისტრაციული კლუბის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა აღნიშნა, რომ მოხსენებაში არაფერი არ თქმულა საქართველოს ალპინისტთა მიღწევებზე, რომლებმაც დაიპყრეს პამირის 9 უმაღლესი მწვერვალი. მან თქვა, რომ უკანასკნელ ხანს დავიწყებულია კარგი ტრადიცია სამეცნიერო-სასპორტო მთასვლელობისა, რასაც ახორციელებდნენ საქართველოს ისეთი თვალსაჩინო ალპინისტები, როგორიც იყვნენ გ. ნიკოლაძე, ი. ასლანიშვილი, სიმონ და ალექსანდრე ჯაფარიძეები.

ამხ. კეცხოველი შეეხო საკითხს, რომ საჭიროა გაძლიერდეს ყურადღება რესპუბლიკაში სპორტის ისეთ სახალხო სახეობათა განვითარებისადმი, როგორიც არის, მაგალითად, ქართული ჭიდაობა, ლელობენური, ცხენოსნობა და სხვ.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. დანილოვამ. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ უკანასკნელ ხანს საქართველოში, რომელიც განთქმული იყო თავისი მძლეოსნობით, ტანმოვარჯიშეებითა და სხვა სპორტსმენებით, შემცირებულია სპორტული შედეგები, გაუარესდა ღირსეული ცვლის მომზადება, ფიზკულტურელთა ახალგაზრდა კადრების მომზადება. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ კომკავშირელთა მხოლოდ 44 პროცენტი მისდევს სპორტს. ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სისტემატურად უნდა განახორციელონ მასობრივ-ფიზიკულტურული ღონისძიებანი, მოაწყონ სასპორტო შეჯიბრებანი, მძლეოსანთა, ველოსიპედისტთა კროსები, შორმანძილზე ცურვა, ტანმოვარჯიშეთა მასობრივი შეჯიბრებები, აღმინისტრაციული ასვლები.

კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა იმის დიდი მნიშვნელობა, რომ ფართოდ გაიშალოს მზადება ამერკავკასიის მოკავშირე რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სსრ 1957 წლის მომავალ სპარტაკიადისათვის. აგრეთვე სსრ კავშირის ხალხთა მორიგი სპარტაკიადისათვის, რომელიც 1959 წელს გაიმართება. საქართველოს სპორტსმენებმა სერიოზულად უნდა იმუშაონ, რომ გაუმჯობესონ თავიანთი ოსტატობა, რომ დირსეულად მოემზადონ სპარტაკიადებისათვის და აღნიშნონ ისინი მაღალი სპორტული მიღწევებით.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორმა ა. ფალავანდიშვილმა, საქართველოს კირთვის სახელობის პოლტექნიკური ინსტიტუტის დირექტორმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა რ. დვალმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. გოკიელმა, ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ, სპორტის ოსტატებმა ტ. კომისარენკომ და ი. ქართველიშვილმა, კომკავშირის ხაშურის რაიკომის მდივანმა ა. ბარათაშვილმა, პოეტმა ი. ნონეშვილმა, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. ჯეჯელავამ.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მეტანაძემ.

აქტივის კრებამ დასაბა ღონისძიებანი რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. (სრულად).

იქ, სადაც დიდი ოქტომბერი დაიბადა

რაც უფრო ახლოვდება დიდი დღესასწაული, მით უფრო ნათლად წარმოგვიდგება 1917 წლის ოქტომბრის დღეები, ის დღეები, როდესაც ბრძოლებისა და გამარჯვებების ქარცეცხლში იბადებოდა ახალი საზოგადოებრივი წყობილება. და ყოველთვის ჩვენს თვალწინ ისახება ნევაზე მდგომი დიდი ქალაქი, რომელსაც მას შემდეგ სოციალისტური რევოლუციის აკვანი ეწოდება.

როგორ ცხოვრობს დღეს სამი რევოლუციის ქალაქი, სადაც ოცდაცხრამეტი წლის წინათ, 7 ნოემბერს ღამით თავისუფლების დროშა აფრიალდა, — აი რაზე გვინდა მოვუთხროთ მკითხველს ამ წერილში.

* * *

ამ რამდენიმე დღის წინათ ოქტომბრის ორუბლიან ამინდში ლენინგრადში სასახლის ფართო მოედანზე იდგა ადამიანების პატარა ჯგუფი. შუაში იყო ხანშიშესული ტანმორჩილი კაცი. მას ბევრი იცნობს არა მარტო ქალაქში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ეს არის კიროვის ქარხნის წარჩინებული ნოვატორი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ვ. ი. კარასევი. იგი რაღაცას უყვებოდა გარშემორტყმულ ხალხს.

— ვლადიმერ იაკუმოვიჩ, ასე ამბობენ, რომ თქვენ მაშინ ერთ-ერთი პირველი შეიჭერით სასახლეში, სადაც დროებითი მთავრობა იმყოფებოდა, მეფის ტახტზეც კი დამჯდარხართ და ალ გითქვამთ: „ახლა ჩვენა ვართ რუსეთის მემკვიდრენი!“, — მიმართა ერთ-ერთმა მსმენელმა მას.

— ჰო, მართალია, — მოკრძალებით იღიმება კარასევი.

ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ მსმენელები კიდევ უფრო უახლოვდებიან ზამთრის სასახლის იერიშის მონაწილეს. სხაპასხუპით აყრიან შეკითხვებს. მათ აინტერესებთ ყველაფერი: საიდან მოდიოდნენ რევოლუციური ნაწილები და სად იდგა კრეისერი „ავრორა“, ჰქონდა თუ არა კარასევს ბედნიერება პირადად ენახა ვლადიმერ ილიას-ძე?

— აი სწორედ ამ ადგილის პირდაპირ იდგა იმ დაუვიწყარ ღამეს კრეისერი „ავრორა“. აქედან უშენდა იგი ცეცხლს ზამთრის სასახლეს, — ამბობს ევსტაფიევი. იგი ლაპარაკობს აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა დაუცხრომელი ორგანიზატორული მუშაობა გააჩაღა მაშინ კომუნისტურმა პარტიამ იმისათვის, რომ შეეკავშირებინა პროლეტარიატი, დაერაზმა იგი საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად. და ამ უდიდესი საქმის სული და გული, მისი შთამაგონებელი დიდი ლენინი იყო.

ამ დღეებში ათასობით საბჭოთა ადამიანი და აგრეთვე უცხოელი მოგზაურობს ქალაქში, ეცნობა ისტორიულ რევოლუციურ ძეგლებს. და ექსკურსანტების წარმოდგენაში თითქოს ცოცხლდება ჩვენი სამშობლოს დიადი ისტორიის მკაფიო ფურცლები.

* * *

წინსვლისადმი მისწრაფება საბჭოთა ადამიანის ხასიათის ერთ-ერთი მთავარი, წამყვანი თვისებაა. ეს ლენინგრადელებსაც დიდად ახასიათებს. მათზე ბევრი რამ არის დამოკიდებული მეექვსე ხუთწლედის დიადი ამოცანების გადაწყვეტაში. ლენინგრადში არის დიდი საწარმოები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან ჩვენი ქვეყნის გიგანტურ მშენებლობებთან.

საამწეო-სატრანსპორტო მოწყობილობის ქარხნის ფართო ეზოში ახლა ნახავთ ფოლადის გიგანტურ კონსტრუქციებს. ეს არის ნაწილები მძლავრი ამწეებისა, რომლებიც იგზავნება ანგარის, ენისეის მშენებლობებზე, იქ, სადაც იქმნება მეექვსე ხუთწლედის ენერგეტიკული გიგანტები. ქარხანა „ელექტროსილას“ ჰიდროკორპუსში ამზადებენ გასაგზავნად კუბიშევის ჰესისათვის მძლავრი გენერატორების ნაწილებს.

ყოველივე იმას შორის, რასაც დღეს ლენინგრადელები ქმნიან, ცოტა როდია უნიკალური დანადგარები. ეს არის, მაგალითად, 5.000 ტონა სიმძლავრის წნეხი. ხუთი ათასი ტონა! ეს უდიდესი წნევაა. საკმარისია ითქვას, რომ ასეთი წნევით რკინა კარაქივით რბილი ხდება. აი ეს ხუთიათასტონიანი წნეხი გაკეთებულია ლენინგრადის იჟორის ქარხანაში და ახლა ეგზავნება ჩვენს მეგობრებს ჩინეთში.

ახლა ლენინგრადის წარმოების ბევრი ძველი მუშაკი პენსიაზე გავიდა და მიდის. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი ყოველგვარ კავშირს წყვეტენ თავიანთ საწარმოებთან. მაგალითად, ნევის ლენინის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხანაში მუშებმა პენსიაზე გასული თავიანთი უფროსი ამხანაგები რომ გააცილეს, სთხოვეს საჭიროების დროს დაეხმარონ მათ რჩევა-დარიგებით. მოხუცები ხალისით დათანხმდნენ. ამის გამო დირექტორმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც ნათქვამია: „მივესალმები რა კოლექტივის სახელით წარმოების ძველ მუშაკთა ინიციატივას სარგებლობა მოუტანონ ქარხანას, ვბრძანებ: წარმოების ძველ მუშებს, რომლებიც ქარხანაში არ მუშაობენ, ნება მიეცეთ იარონ საწარმოში; ამ მიზნით შემოღებულ იქნას მათთვის საპატიო საშვები“.

ლენინგრადელთა შრომა ასე ეფექტიანი არ იქნებოდა, იგი შთაგონებული რომ არ იყოს მიზნის სიდიადით, ადამიანებს რომ არ ესწავლათ ყველა შესაძლებლობის გამოყენება იმისათვის, რომ დღეს უკეთ იმუშაონ, ვიდრე გუშინ. ამ საქმეში ისინი იყენებენ მთავარ რეზერვს — კომპლექსურ მექანიზაციას და წარმოების ავტომატიზაციას.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების ყოველ ახალ წელს ჩვენი ხალხი სიყვარულის განსაკუთრებული გრძნობით აღნიშნავს. ყოველი ახალი წელი გვმატებს ძალას, გვინერგავს მომავლის რწმენას.

ამიტომ ემზადება ასე ფართოდ და ზეიმით ჩვენი ქვეყანა ნათელი დღესასწაულისათვის. და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სიხარულით მიესალმებიან დღესასწაულს ლენინგრადელები. ლენინგრადში დიდი ოქტომბრის წლისთავი როგორღაც თავისებურად ჩაივლის ხოლმე. საკმარისია ითქვას, რომ დემონსტრანტთა კოლონები იქ იმავე ადგილებს გაივლიან ხოლმე, რომლებშიც 1917 წლის ოქტომბრის დღეებში მიდიოდნენ წითელგვარდიელები, მატროსები, პიტერის რევოლუციური პროლეტარიატის კოლონები. ყოველივე ეს ადამიანებს აგრძნობინებს რაღაც სიახლოვეს იმ ისტორიულ მოვლენებთან და შესაძლებლობას აძლევს მათ კიდევ უფრო მეტად განიმსჭვალონ საზეიმო განწყობილებით.

უნდა ითქვას, რომ დღესასწაული ლენინგრადში, როგორც ალბათ მთელ ჩვენს ქვეყანაშიც, ადამიანთა გულში თავის კალენდარულ ვადაზე გაცილებით უფრო ადრე დგება. ამ დღეებში ლენინგრადის ქუჩებში რომ დავდიოთ, ვხედავთ, ისტორიული სასახლის მოედანზე როგორ მართავენ ტრიბუნებს, მიწიდან რა მაღლა შრომობენ ზემოცოცავები, რომლებიც ამაგრებენ მოკიაფე ლოზუნგებს, სხვადასხვა ფერის ნთურების გირლანდებს და სხვა სადღესასწაულო სამკაულებს. ყოველივე ეს ადამიანს გულს უთბობს. ქალაქი განსაკუთრებით კარგია, როცა სადღესასწაულოდ არის მორთული. საღამოს საათებში ყველა ქუჩაში და მოედანზე უხილავი ხელი ანთებს მრავალ ნათურას. შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლების ნატიფი ხაზები, რეფლექტორებისა და პროჟექტორების სხივებით გაშუქებული, განსაკუთრებით ლამაზი მოჩანს. საღამოობით დიდებულ სანახაობას წარმოადგენს ნევის ფართო სანაპიროებიც.

ამ დღეებში ათასობით ადამიანი მიდის ექსკურსიით ოქტომბრის სამახსოვრო ადგილებში, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ლენინგრადის ფილიალში. მუზეუმის შესასვლელში დადგმულია ისტორიული ჯავშნოსანი, რომლიდანაც 1917 წლის გაზაფხულზე ვ. ი. ლენინმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ასე დაამთავრა: „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“

მუზეუმში ბევრი ლენინური რელიკვიაა. დიდი ოქტომბრის 39-ე წლისთავის წინ ექსპოზიცია შეივსო ახალი მასალებით. კერძოდ გამოფენილია ფოტოპორტრეტები ლენინის ავტოგრაფებისა, რომლებიც ეკუთვნის პეტროგრადში ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადების პერიოდს.

ზემოთ ჩვენ ვთქვით, თუ რა შრომითი ენთუზიაზმით ემზადებიან დ

როგორ ასრულებენ ვალდებულებას

იკისრეს და გაანაღდეს

ჩაება რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვ. ი. ლენინის სახელობის ავჭალის შუშის ქარხნის კოლექტივმა იკისრა 1956 წლის სახელმწიფო დავალება 7 ნოემბრისათვის შეესრულებინა. საწარმოს კოლექტივმა პირნათლად გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება — 6 ოქტომბერს შეასრულა წლიური გეგმა, გეგმასთან შედარებით 21,1 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება, 7,5 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება, ამასთან მნიშვნელოვნად შეამცირა წუნის შემთხვევები და ამით სამშობლოს მრავალი ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცა.

ამ წარმატებებს ქარხნის კოლექტივმა მნიშვნელოვან ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით მიაღწია. უკანასკნელ ხანებში საექსპლოატაციოდ გადასცეს ორი შუშის სახარში ღუმელი, ორი მაღალი წარმადობის ბოთლის დამყალიბებელი ავტომატი და მექანიზებული გამოსაწვავი ოთხი ღუმელი, რომელთა გამტარუნარიანობა დღე-ღამეში 80 ათას ბოთლს უდრის. მექანიზებულ იქნა ბოთლების ვაგონებში ჩატვირთვისა და შიხტის გადაზიდვის ოპერაციები. ახლად აშენებულ სარემონტო-მექანიკურ საამქროში დაიდგა მაღალი წარმადობის მრავალი ლითონდამამუშავებელი ჩარხი. ამ ღონისძიებების განხორციელებამ ქარხნის ადმინისტრაციას საშუალება მისცა განთავისუფლებული 72 მუშა სხვა სამუშაოზე გადაეყვანა.

შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს ქარხნის რაციონალიზატორებმა. დანერგილ რაციონალიზატორულ წინადადებათა შორის მნიშვნელოვანია ქარხნის მთავარი ინჟინრის გიორგი ჭელიძის წინადადება. მან ბოთლის დამყალიბებელ მანქანაზე შეცვალა პირველადი დაყალიბების ფორმის კონსტრუქცია. აღნიშნული ღონისძიების გატარებით მანქანის წარმადობა 20 პროცენტით გადიდდა. ახლა ქარხანა დღე-ღამეში 4.800 ცალი ბოთლით მეტს უშვებს, ვიდრე წინათ.

ქარხნის კოლექტივი მიღწეულით არ კმაყოფილდება, წლიური დავალების განაღდების შემდეგ ვალდებულება აიღო გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს 3 მილიონი ცალი ბოთლი.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევენ ის მუშები, რომლებმაც კვალიფიკაცია აიმაღლეს ტექნიკურ წრეებში. მაგალითად, მემანქანე ვ. სინჯარაძე, რომელიც წინათ საწარმოო დავალებას ძლივს ასრულებდა, ამჟამად ყოველდღიურ გეგმას 130-140 პროცენტით ასრულებს და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებს. ასეთივე წარმატებები აქვთ მემანქანეებს ა. აკინინს, ა. ხაბალაევს, პ. ადეიშვილსა და სხვებს.

მეექვსე ხუთწლედში საწარმოს სიმძლავრე ორჯერ გაიზრდება მეხუთე ხუთწლედთან შედარებით. გამოშვებული იქნება 48 მილიონ 900 ათასით მეტი ბოთლი.

ამ ამოცანის განხორციელებისათვის გადაწყვეტილია უახლოეს დროში აშენდეს ახალი საამქრო, საექსპლოატაციოდ გადაეცეს 50 ტონა წარმადობის შუშის სახარში ღუმელი, დაიდგას ბოთლის დამყალიბებელი ორი ბოქანიზებული მანქანა 18 მილიონი ბოთლის წლიური სიმძლავრისა. ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის უკვე დაიწყო მუშაობა. გამოყოფილია ტერიტორია ახალი საამქროს ასაგებად, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ნედლი მასალის საწყობის მშენებლობა, სადაც დაიდგმება მასალის გადასამუშავებელი აგრეგატები, მექანიზებული საცრები და სხვა მოწყობილობა.

ქარხნის კოლექტივი, რომელიც გამარჯვებული გამოვიდა სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გაორკეცებული ენერგიით იბრძვის, რათა კიდევ უფრო ამრავლოს მოპოვებული მიღწევები და სამშობლოს მისცეს მეტი და საუკეთესო ხარისხის პროდუქცია.

ალ. სილაგაძე.

„სუიტა ინდურ თემებზე"

შალვა მშველიძის ახალი ნაწარმოები

შალვა მშველიძის „სუიტა ინდურ თემებზე" კომპოზიტორის მიერ უკანასკნელ პერიოდში დაწერილი დიდი ფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. იგი უწინარეს ყოვლისა ღირსშესანიშნავია ავტორის ცდით გასცდეს ეროვნულ თემატიკას. ქართულ საბჭოთა მუსიკაში არის იმის არაერთი მაგალითი, როცა კომპოზიტორები მიმართავდნენ არაქართულ შინაარსს. ეს განსაზღვრა მათმა მისწრაფებამ ღრმად გასცნობოდნენ და ჩასწვდომოდნენ სხვა ხალხების ფოლკლორის დამახასიათებელ თვისებურებებს, შეეცნოთ მისი სიმდიდრე და მრავალფეროვნება.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა შ. მშველიძის „ინდური სუიტა". ჩასწვდა რა ინდური ხალხური მუსიკის დამახასიათებელ თვისებებს და შემოქმედებითად აითვისა მისი ინტონაციური თავისებურებანი, შ. მშველიძე „ინდურ სუიტაშიც" ნამდვილ ქართველ კომპოზიტორად გვევლინება. თავისი ახალი ნაწარმოებები მან მნიშვნელოვან თემას მიუძღვნა. მის „ინდურ სუიტას" სული შთაბერა ხალხთა შორის მზარდმა მეგობრობამ, საბჭოთა და ინდოელი ხალხების მჭიდრო ურთიერთობის განმტკიცებამ, რომელსაც უძღვნა თავისი ახალი ნაწარმოება კომპოზიტორმა. ეს სუიტა წარმატებით იქნა შესრულებული ინდოეთის ქალაქებში დელში, კალკუტაში, ბომბეიში.

ახალი ნაწარმოების შემოქმედებითი დაბადება და სწორი შეფასება ბევრად არის დამოკიდებული მის ინტერპრეტაციაზე. ჩვენი ანალიზი ეყრდნობა სუიტის შესრულებას საკავშირო რადიოს სიმფონიური ორკესტრის მიერ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ნათან რახლინის დირიჟორობით. ეს შესრულება ყველაზე ახლოს დგას კომპოზიტორის ჩანაფიქრთან, რამაც უზრუნველყო სუიტის წარმატება როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

„სუიტა ინდურ თემებზე" ხუთნაწილიანია. თვითეული მათგანის სახელწოდება თავისებური პროგრამაა და გადმოსცემს მის შინაარსს. ყოველი ნაწილი ხალხის ცხოვრების კოლორიტული სურათია.

„მზის ამოსვლის შეგებება" — ასე ეწოდება პირველ ნაწილს. იგი ბუნების გამოცოცხლების, გარემოს გაღვიძების ლირიკული სურათია. მზის ამოსვლა დღის დადგომის და მასთან ერთად ყოველივე ნათელის, სიხარულის სიმბოლოა. ძირითად მხატვრულ თემად აქ გამოყენებულია ინდური ხალხური მელოდია. ვიოლინოს ნაზი, მთრთოლვარე ხმოვანება ქმნის მთელი ნაწილის ნათელ ლირიკულ განწყობას. ეს თემა შემდეგ სხვა საკრავების ყღერადობაში სულ უფრო ნათელი ხდება.

მეორე ნაწილი — „ახალგაზრდული ცეკვა" თავისი ხასიათით პირველზე [illegible] ყოველივე აქტიური, რიტმულად მოძრავია. [illegible] ხალხურ-ენერგიული [illegible] ტორის მიერ შეთხზული [illegible] გამსჭვალული თემა.

ინდოელებისათვის ლამპარი ყოველივე კეთილშობილის, ამაღლებულის, სიმართლის სიმბოლოა. „რა ცეცხლით აანთე ჩემი სული ლამპარი" — ასე ეწოდება სუიტის მესამე, ნელ ნაწილს. თავისი განწყობილებით იგი ერთ-ერთი ყველაზე შთამაგონებელი, პოეტური, ფორმით უაღრესად ლაკონიური ნაწილია.

სუიტის მეოთხე ნაწილს ეწოდება „მოსწყვიტე ნავი ნაპირს". იგი წარმოადგენს ჟანრულ სურათს. ენერგიული შრომის სიმღერა, რომელიც მას საფუძვლად უდევს, გადმოგვცემს ზღვაში გასულ მეგადურთა განწყობილებას. მთავარი თემის საწყისი ინტონაციების ერთგვარად თავშეკავებულობა, პირველი ბგერების მკვეთრი აქცენტუაცია, ნახტომები მეგადურთა თითქოს შეძახების გამომხატველ მელოდიაში, — ყოველივე ეს აგვისახავს შრომითს პროცესს. შუა ლირიკული ეპიზოდი თავისი ხასიათით თითქოს მოგონებაა, ფიქრებია სახლზე, ნაპირზე დარჩენილ ახლობლებზე.

„დადგა გაზაფხული და ავსო ყოველივე"— ამ ნაწილით მთავრდება სუიტა. გაზაფხული ბომ სიხარულის, ახალი იმედების მომტანია. ეს არის სიმბოლო იმისა, რომ დადგა ახალი ერა ინდოელი ხალხის ცხოვრებაში. ამ ნაწილში კომპოზიტორმა კვლავ გამოიყენა ინდური ხალხური მელოდია.

„ინდური სუიტის" ღირსება მისი მუსიკის საზოგანებაა. გამოდის რა უწინარეს ყოვლისა მხატვრული სახის შინაგანი მდგომარეობიდან, კომპოზიტორი გვისურათებს ხალხის ყოფა-ცხოვრების მრავალ ეპიზოდს. ამ მხრივ განსაკუთრებით პოეტურია მესამე ნაწილი.

სუიტა გამსჭვალულია ეროვნული კოლორიტით. ხალხური მელოდიების გამოყენება კომპოზიტორისათვის თვითმიზანი კი არ იყო, არამედ ინდური მუსიკის სტილისტურ თავისებურებებში ღრმად ჩაწვდომისა და შემოქმედებითი გარდატეხის საშუალება.

საორკესტრო წერის ბრწყინვალე ოსტატი მშველიძე სუიტაში ერთხელ კიდევ წარმოსდგა როგორც მდიდარი საორკესტრო ფერების ოსტატი. ამის მაგალითებია ვიოლინოს საშუალებით ძირითადი ლირიკული თემის მთრთოლვარე ყღერადობა, რაც შემდეგ კლარნეტში გადადის და, ბოლოს, მთელ ორკესტრს გადაეცემა (პირველი ნაწილი), სამი ფლეიტის, სამი საყვირის, არფის, ჩელესტას და სიმებიანთა ფერადოვანი შეხამება (მეორე ნაწილი). თამამი და ფერადოვანია სუიტის ჰარმონიული ენა.

„ინდური სუიტა" ორიგინალური, საინტერესო ნაწარმოებია. მაგრამ არ შეიძლება გვერდი აუუაროთ მის ნაკლოვანებებსაც. ამთგან მთავარია ცალკეული ეპიზოდების ფორმის ნაკლები სრულყოფა. თემატური მასალის სიუხვე ლაკონიური ფორმის გარეშე ზოგან ერთფეროვან გამეორებას იწვევს. ეს იგრძნობა პირველი ნაწილის შუა ეპიზოდშიც, „ახალგაზრდულ ცეკვაშიც". სხვა ნაწილებთან შედარებით როგორც თემატური მასალით, ისე ფორმით ნაკლებად შთამბეჭდავია ფინალი. როცა გლაპარაკობთ წერის ხერხების ერთფეროვნების შესახებ, უნდა მივუთითოთ ტრიტონების ხშირ გამოყენებაზე.

საერთოდ კი ის ფაქტი, რომ შ. მშველიძის „ინდური სუიტა" თვით ინდოელმა ხალხმა გულთბილად მიიღო, მოწმობს კომპოზიტორის გამარჯვებას.

მირა ფიჩხაძე.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ

რეპორტაჟი

შემოქმედებითი შრომის ადამიანები





კოლმეურნე მხატვრის ხეივანი, — ასე ეძახიან ასურეთლები მდინარე ალგეთის პირას გაშენებულ ვენახს, რომლის შუაგულში ყურადღებას იპყრობს მომზიდველი სურათი: ვაზების მწკრივების ზემოთ ლერწებს თაღი მჭიდროდ შეუკრავთ, თანაც სიუხვის გული გაუხსნიათ: ქარვისფერი, ცისფერი, მომწვანო მტევნების ცერისოდენა მარცვლები ბზინავენ და მნახველს ხიბლავენ...

ენით აუწერელი სურათია! ხედავ მას და გული სიხარულით გევსება. ეს დიდებული მხატვრობა, ცოცხალი შემოქმედება ტანბრგე ვაუკაცს, კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირს გ. გეგეშიძეს ეკუთვნის.

ასურეთლები თავდადებით შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრებში. მათ მამაცურ შრომას ბარაქიანი შემოდგომა მოჰყვა.

აგერ ვენახში გზის პირას მოხუცი კოლმეურნე ს. ნებულიშვილი შეჰფოფინებს ვაზს, რომელსაც 45 მტევანი ასხია. როგორც ბრიგადირმა ვ. ცაგურიშვილმა გვითხრა, ამ ვაზს რაიონული გამოფენისათვის ინახავენ.

— მაგრამ რომელი ერთი გავგზავნოთ გამოფენაზე, ხომ ხედავთ, მჯობნის მჯობნი ბევრია... — დაასრულა სიტყვა ცაგურიშვილმა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავს ძვირფასი საჩუქარი უძღვნა კოლმეურნე ე. საგანელიძემ. მისთვის მოსავლელად მიჩენილი ვენახის ერთ ჰექტარზე 175 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი მოკრიფეს!

საგანელიძეს არ ჩამორჩებიან მევენახე კოლმეურნეები ბ. კობახიძე, ი. შარაბიძე, ბ. არჩუაძე, ვ. დვალი, შ. მურუსიძე, ტ. არჩუაძე, ე. ცაგურიშვილი...

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის კოლმეურნეობამ 60 ჰექტარი მსხმოიარე ვენახიდან სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 250 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი ჩააბარა, კოლმეურნეები მარტო შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით 50 ტონა ყურძენს მიიღებენ.

ბარაქიანი რთველი გრძელდება... დღედაღამ მუშაობენ კოლმეურნეობის მარნის (გამგე ს. ლაშხი) მუშაკები, შუშხუნა მაჭრით ივსება უშველებელი კასრები, რომელთა საერთო ტევადობაა 800 ათასი ლიტრი.

ერთი შეხედვით, სოფლის მთელი ძალები თითქოს ზვრებშია გასული, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. საკოლმეურნეო სოფლის ყველა უბანში კოლმეურნეები ხელიხელჩაკიდებული, შეწყობილად, დაძაბულად მუშაობენ. მეექვსე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განაღდებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად თავდადებით იბრძვის ყველა ბრიგადა, რგოლი, კოლმეურნე, ტრაქტორისტი.

სურათზე ყელმოღერებულ ძროხას რომ ხედავთ, მისი მომვლელი და მწველავია მოწინავე ადამიანი ეუეუნა გიორგობიანი. ერთი პატარა, მაგრამ დაუვიწყარი ეპიზოდი: როცა ჩვენ ფერმის ნათელ, გრძელ, მთლიანად მექანიზებულ შენობაში შევედით, ჭრელფერდა ძროხის გამული ზმოილი შემოგვესმა. ოხრავდა თუ უხაროდა რამ, ვერ მივხვდით. ძირს დავიხედეთ, ძროხის ფეხქვეშ თივაში იწვა ახლადშობილი ხბო. მწველავმა ქალმა ეუეუნამ მიმართა მას:

— რაო, გენაცვალე, ხომ არ შეგცივდა! — და თანაც სათბური წაიფარა.

მეძროხეობის ფერმის (გამგე კომუნისტი ი. ჯმუხაძე) კარგი მუშაობის შესახებ კედელზე გაკრული დიაგრამა მეტყველებს. წლების მანძილზე სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების სურათი ასეთია: 1953 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 40,2 ტონა რძე, 1954 წელს — 43,5 ტონა, 1955 წელს — 103 ტონა. წელს გეგმით 120 ტონა უნდა ჩაბარდეს, დღეისათვის უკვე ჩაბარებულია 112 ტონა, წლის ბოლომდე კიდევ ორი თვეა დარჩენილი!.. ერთ საფურაყე ძროხაზე 1956 წლის 1 ოქტომბრისათვის მიიღეს 1.918 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.700 ლიტრისა.

სამი წელია მეღორეობის განვითარების საქმეს ემსახურება კოლმეურნე ქალი მ. ფონჯავიძე. როდესაც ის გასასუქებლად დაყენებულ ღორებს საჭმელს აძლევდა, სწორედ მაშინ გადავიღეთ ეს სურათი. თავისი საქმის გამოცდილ ოსტატს ეძახიან მას სოფელში.

მეღორეობის ზრდის დასადასტურებლად მხოლოდ ორ ფაქტს დავასახელებთ. პირველია ის, რომ თვითეულ დედაღორზე წელს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14 გოჭისა მიიღეს 19 გოჭი; მეორე—ღორის ხორცს კოლმეურნეობა მომავალი წლის ანგარიშში აბარებს.

— უბოსტნეულოდ რა ფასი ექნება პურმარილს... ჩვენ თბილისელებს ზამთარშიც ვაწვდით ცოცხალ-ცოცხალ კიტრს, პამიდორს... — გვითხრა მებოსტნეობის ბრიგადირმა ლ. ლაშვილმა და მდინარის პირას თხუთმეტ ჰექტარზე მშვენიერ ბაღ-ბოსტანში მიგვიპატიჟა. ხეივანში ჩანდა ლამაზი სათბურები, ახლოს კი მწიფე პამიდორით სავსე კალათები... ბოსტანში სანიშნო მუშაობით ისახელეს თავი კოლმეურნეებმა მ. კაციტაძემ, მ. ბურჯანაძემ, ზ. არჩუაძემ...

კოლმეურნეობა სამი წელია ზედიზედ არის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. ამ წარმატების მოპოვებაში თავისი წვლილი შეაქვს მთისა და ბარის მესაიდუმლეს გამოცდილ მწყემს გ. სულხანიშვილსაც. 75 წლის ბერიკაცი ორმოცდათუთმეტი წელია ცხვარშია, მეგობრებთან ერთად უვლის, პატრონობს ათასობით სულ პირუტყვს.

პერსპექტიული გეგმით კოლმეურნეობამ თითო ცხვარზე 1960 წლისათვის უნდა მიიღოს 8 კილოგრამი მატყლი, დღეისათვის კი უკვე მიღებული აქვს 3,4 კილოგრამი. საქმეც ეს არის და სახელიც!

გ. სულხანიშვილს სოფლის ბოლოში მეზობლის პატარა ბიჭუნა ე. არჩუაძე წამოეწია. შეისვენეს. მოხუცმა ახალი გაზეთი მიაწოდა და სთხოვა:

— თუ ბაბუაშვილობა გწამს, წამიკითხე...

პატარამ შეუსრულა სურვილი. პურის ფრონტზე მოპოვებულ სახიხარულო გამარჯვებათა შესახებ ცნობებს რომ ისმენდა გიორგი, მაშინ გადავუღეთ მათ სურათი. გიორგიმ წარმოთქვა:

— არც ჩვენ შევარცხვენთ საყვარელ სამშობლოს!—და ასურეთის ბარაქიან მინდორველზე მომუშავე შემოქმედებითი შრომის ადამიანებს გახედა...

აკ. ბოცირიძე.

* * *

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მიმდინარე სეზონის მორიგ ახალ დადგმად ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა იუგოსლავიელი დრამატურგის ბ. ნუშიჩის კომედია „ფილოსოფიის დოქტორი" (თარგმანი პ. წერეთლისა).

სპექტაკლის დადგმა განახორციელეს რეჟისორმა მ. თუმანიშვილმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მხატვარმა ფ. ლაპიაშვილმა, კომპოზიტორმა ს. ცინცაძემ და ქორეოგრაფმა გ. დავითაშვილმა.

ᲓᲚᲘᲣᲠᲔᲑᲘ ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲗᲐ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐᲖᲔ

მწყემსებს დაცდილი აქვთ: დაიწყება თუ არა საზამთრო სეზონზე ცხვრის გადარეკა, იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ ამინდი არ გაუარესდეს. ასეა ყოველთვის, მაგრამ წელს ბუნებამ თითქოს ამ ჩვეულებას უღალატა და მგზავრობის წინა პერიოდში მშვენიერი ამინდი დაიჭირა.

ოქტომბრის პირველ ნახევარში ტრასის ყველაზე ძნელი უბანი — ჯვრის უღელტეხილი მშვიდობიანად გადალახეს ლენინგორისა და თიანეთის რაიონების კოლმეურნეობათა მწყემსებმა.

ფშავის, გუდამაყრის და მთიულეთის ხეობებიდან თეთრ ნიაღვრად დაიძრნენ ცხვრის ფარები. მათი ერთი ნაკადი მიემართებოდა ბიდარისაკენ, ხოლო მეორე ბურსაჭირის იმ ადგილის მიმართულებით, რომელსაც ქვემათას ეძახიან.

თითქოს დუშელების მოსვლას ელოდაო, ბიდარამ მოულოდნელად შუბლი შეიკრა, არაგვის ხეობაში მიმავალი მწყემსები შორიდანვე ხედავდნენ საგზაროდ აშლილ ღრუბლებს. მლეთის მახლობლად აღმართს რომ დაადგნენ, ეცხვარეებმა ხევსგალმა შეფერდებაზე თხელ ნისლში შეამჩნიეს ადამიანთა სილუეტები, რომლებიც ახლადდათოვლილ პურის ყანას მკიდნენ. — თუ აქ ასეთი ამბავია, ზევით მწვერვალებზე რაღა იქნებაო, — გაიფიქრეს მათ.

უკან დარჩა კაიშაურის გაშლილი ველი და გუდაურის კლდოვანი მაღლობები, აქედან მწყემსებს უკვე აშკარა განსაცდელი ელოდათ. ნაადრევად დათოვლილი მთები კარგს არაფერს უქადდა ადამიანებს. შესაძლო იყო ზავების წამოსვლა, ქარბუქის მოვარდნა.

მდგომარეობა საგანგაშო იყო.

აუცილებელი გახდა უღელტეხილზე ფოთის მიზიდვა, დამხმარე მუშახელის გამოყოფა და ყველა იმ წვრილმანის გათვალისწინება, რომლის უქონლად შეუძლებელი იყო ათეულ ათასობით ცხვრის უდანაკარგოდ გადარეკა.

ჩვენ საშუალება გვქონდა საკუთარი თვალით გვენახა ჩვენი სახელოვანი მწყემსების გმირული შრომის მაგალითები და სრულიად შეულამაზებლად, უბრალო დღიურის სახით აგვწერა ჯვრის უღელტეხილზე მომხდარი ამბავი.

აი დღიურის რამდენიმე ფურცელი.

18 ოქტომბერი. დუშეთიდან ცხვრის გადასარეკ ტრასზე მივემგზავრებით. ჩვენთან ერთად არის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შალვა მწითური. ფასანაურამდე შემოდგომის თბილი მზე გვაცილებს. შორს კი, იქ სადაც ბიდარას გადასასვლელი გვეგულება, ღრუბლების სქელი ფარდა ჩანს. პირველი ფარა, რომელსაც ყველაზე ადრე დავეწიეთ, ბაზალეთის კოლმეურნეობის ფერმისა იყო. მწყემსებს გადავეცით რაიონული გაზეთის ახალი ნომრები, მეცხვარეები თავს მხნედ გრძნობენ, განზრახული აქვთ ღამე მლეთის მახლობლად გაათენონ.

გუდაურთან დაგვიღამდა. მარცხნივ ისეთი ღრმა უფსკრულია, რომ ჩიტიც კი ვერ ამოფრინდება, მოყინულ თოვლზე თვლები ცურავს, ავტომძღოლ ვანოს მანქანა დიდი სიფრთხილით მიჰყავს. როგორც თვითონ ამბობს, ამ ადგილებში შოფერი შეიძლება შეცდეს მხოლოდ ერთხელ, მერე კი — მშვიდობით. უღელტეხილზე ნისლი დგას. ავტომანქანის მძლავრ ნათურებსაც არ შეუძლიათ ნისლის გარღვევა. ვეშვებით ქვემოთ.

განვაგრძობთ გზას. ყაზბეგში თოვლმა იმატა, დარიალის კლდეები შვეულ კედლებად დგანან და მანქანის შუქზე უზარმაზარ ეკრანებს გვანან. ჩვენი აზრით, თუ თოვა არ გაგრძელდა, ჯერჯერობით საშიში არაფერია. გავიარეთ ქალაქი ორჯონიკიძე, დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიის ვაკეები. სტანიცა ვოზნესენსკაიასთან დავეწიეთ თიანეთის რაიონის გუდანელების კოლმეურნეობის ფარას. ფერმის გამგე თათარა ბექაურმა გვითხრა, მეთორეტე დღეა, რაც სახლიდან წამოვედით და არც ერთი ცხვარი არ დაგვიკარგავსო.

მალგობეკში ლენინგორელი მწყემსების ბინას მივადექით. სოფელ თოხოთის კოლმეურნეობიდან ყოფილან და ღამის გასათევად ეს ადგილი აურჩევიათ. ახალგაზრდა ბრიგადირი ელიოზ ზანგური გახარებულია, რომ გადარეკა კარგად მიდის და მთელ ტრასზე შესანიშნავი ბალახია.

გავიარეთ სამასიოდე კილომეტრი, გათენებისას კაზაკების სტანიცა იშორსკაიას მახლობლად მივედით. აქ მდინარე თერგის ხიდზე უნდა გამოიარონ საქართველოს ცხვრის ფარებმა. ტრასის გამგემ დავით გიგაურმა და ვეტექიმმა ილია ჩანტლაძემ გვითხრეს, დღეს ხიდზე პირველმა ფარამ გაიარაო.

20 ოქტომბერი. წუხელ ღამით ჩექმების ბრახუნმა და ადამიანების ხმამაღალმა ლაპარაკმა გამოგვაღვიძა. ნაბდები მოვიშორეთ და ლამპა ავანთეთ. ახლად მოსულები ვიცანით, პირველი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ვლადიმერ კობახიძე იყო, ხოლო მეორე ირაკლი ქავთარაძე — ჩორნი რინოკში საქართველოს მეცხოველეობის სამანქანო სადგურის დირექტორი. ვლადიმერმა გვითხრა, დღეს ჩორნი რინოკიდან ყაზბეგს ტელეფონით დავუკავშირდი და, როგორც გადმომცეს, ამინდი გაუარესებულაო.

კოკისპირულად წვიმს. ვსხდებით მანქანაში და უკან ვბრუნდებით. ჩავდით ყაზბეგში. კვლავ გახუწყვეტლივ თოვს. მოვემგზავრებით უღელტეხილისაკენ. ამხანაგებს მეტად ადარდებთ, ქვენა მთის გზით წინადღით გუდამაყრიდან გამოსული ფარები რომ არსად ჩანან. სიონთან გუდამაყრელ მწყემსს სიმონ ბექაურს შევხვდით. გვიამბო, გუშინ 12 საათზე წამოვედით, გზაში ზვავებმა მოგვისწრო, ნაწილი ცხვრისა გადაიჩეხა და მის მოსაძებნად ჩვენი ბრიგადის წევრები გაგა და გრიშა ბექაურები დავტოვეთო.

ცოტა ხნის შემდეგ დათოვლილ ჭალაზე რამდენიმე ფარა გამოჩნდა. ჩვენი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. მიუხედავად ზავებისა, გუდამაყრის, მაქართისა და ცხვედიეთის კოლმეურნეობებს ცხვარი ორგანიზებულად გადმოუყვანიათ.

ვნახეთ ცხვედიეთელი ახალგაზრდა მწყემსი ალექსი წიკლაური, სახე დალურჯებული და დაკაწრული ჰქონდა. გვითხრა, გუშინ ზავმა დამიყოლა და ამხანაგები რომ არა, ნამდვილად დავიღუპებოდიო.

მზაკვრული ხასიათი აქვს ბიდარას მთას. ერთმა ხანში შესულმა მწყემსმა თქვა — ბევრი ვაჟკაცი დაღუპულა მაგ ტიალისაგანო. ამიტომაც ჩქარობენ ამ ადგილის გავლას მეცხვარეები.

მთელი დღე არ შეწყვეტილა ფარების ნაკადი, გაიარეს მთიულეთის, ბაზალეთის, ჭართლის, ხადის, დუშეთის, ქვეშეთის, მლაშის, ახალციხის და სხვა კოლმეურნეობათა მწყემსებმა.

მთელი ღამე არ შეწყვეტილა ცხვრის მოძრაობა. ასეთ დროს ძვირფასია თვითეული საათი, თვითეული წუთი. მწყემსებთან ერთად სტიქიას ებრძვიან ვეტექიმები, ზოოტექნიკოსები, ავტომძღოლები, რომლებსაც სასწრაფოდ გადმოაქვთ თივა, მწყემსებთან არიან რესპუბლიკისა და რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების მუშაკები... კვლავ თოვს და თოვს...

21 ოქტომბერი. წუხელ უღელტეხილი გადმოლახეს უძილაურების, მაღაროსკარის, ხომის, ხეობის, ჩარგლის, ნოჯის კოლმეურნეობათა ფარებმა. მწყემსებს უძილობით გატანჯული სახეები აქვთ, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხენ, ყველამ იცის,— დამთავრდება დარიალის ვიწროები და მერე ცხვარს ბალახი ექნება და მწყემსებს სითბო.

შევხვდით ახალციხის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგეს ალექსი აფციაურს. ეს ახოვანი ვაჟკაცი ღრმა მწუხარებას მოუცავს. წუხელ ბიდარაზე გადმოსვლისას ხუთასი ცხვარი ასხლეტილა, სიბნელეში მწყემსებს ვერ გაუგიათ და აღარ ვიცი რა ჯანდაბა ვქნათ, გვითხრა.

ცხვრის მოსაძებნად ბევრი წავიდა. მათ შორის იყვნენ ვეტექიმი სამსონ ბახტაძე და ექიმი შოთა ღიბრაძე.

22 ოქტომბერი. როგორც ჩანს, არანაკლები სიძნელეები გადაულახავთ ფშავის მთებიდან მომავალ მწყემსებს. დღეს შევხვდით მლაშის კოლმეურნეობის ფერმის გამგეს ილო არაჩაშვილს, რომელმაც შემდეგი გვიამბო:

— საზაფხულო საძოვრებიდან ჩვენი ცხვარი 18 ოქტომბერს დაიძრა. განზრახული გვქონდა გადავსულიყავით ქვენა მთაზე, რადგან ამ მიმართულებით მოკლე გზაა და თანაც ბიდარას ავცდებოდით. თოვლმა აფშოს მთაზე მოგვისწრო. საღამო ხანი იყო და მთის ძირში გავჩერდით. იმ ღამით მგზავრობა საშიში იყო. ამინდი უფრო გაუარესდა. დაიწყო ძლიერი თოვა. მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რადაც უნდა დაგვჯდომოდა ფარები იმ ღამესვე მთაზე გადაგვერეკა, რადგან მეორე დღეს უარეს ამინდს ველოდით.

ბრიგადირები ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი და არშაკ ასაშვილი წავიდნენ გზის საძებნელად. მიუხედავად სიბნელისა, ბილიკი მაინც იპოვნეს.

ცხვარი უდანაკარგოდ ჩამოვრეკეთ ფასანაურში, ეგ არის სახედრები დაგვიკოჭლდა, ზოგიერთმა მწყემსმა ბარგიც დაკარგა, მაგრამ ჩვენმა ხალხმა ბარგის დაკარგვა არჩია ცხვრის ზარალს. ფასანაურიდან ბიდარაზე ამოვედით და, როგორც ხედავთ, მშვიდობით მოვდივართ, ჯერჯერობით არც ერთი ცხვარი არ დაგვიკარგავს...

ბიდარაზე გამოიდარა. მზის სხივებზე თვალის მომჭრელად ბრწყინავს გაყინული თოვლი.

ალექსი აფციაური წელში გამართულა, გუშინ საღამოს დაკარგული ცხვარი ულელტეხილის ერთ პატარა ფერდობთან უპოვნიათ. არც ერთი არ აკლია. ეტყობა ბიდარის მკაცრ ხასიათს მგელიც კი ერიდება.

უკან დარჩა ჯვრის უღელტეხილი. ახლა საშიში აღარაფერია. მწყემსები აჩქარებული ნაბიჯით მიიწევენ წინ.

* * *

ლარსს ქვემოთ თერგის რიყიან ნაპირას მწყემსებს ცეცხლი დაენთოთ; ქვებისაგან სამფეხი გაეკეთებინათ და სპილენძის ქვაბი შემოედგათ. კოცონის გარშემო მეცხვარეები შემომსხდარიყვნენ და ტანსაცმელს იშრობდნენ. მათთან ერთად იყო ციხისძირის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა ხუციურაული, რომელსაც ნოღაეთში 28 ჰექტარზე საშემოდგომო ხორბალი დაეთესა და ცხვრის შესახვედრად დარიალში დაბრუნებულიყო.

ბნელოდა, მაგრამ ცაზე ურიცხვი ვარსკვლავი ბრწყინავდა. ცეცხლის მახლობლად ცხვარი ისვენებდა. ფარას ოთხივე მხრიდან მოზვრისოდენა ძაღლები ყარაულობდნენ, ვაკეზე გასული თერგი არ ღრიალებდა და არც კლდეების ბანი ისმოდა.

დაღლილი მწყემსები ნაბდებში გაეხვივნენ და იქვე ურემთან წამოწვნენ. წინ დიდი გზა არის გასავლელი და მათი საფიქრალი ახლა ის იყო, თუ როგორ ამინდში მოუხდებოდათ სიარული.

ა. თოდუაძე,

„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

სსრ კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიაზე, რომელიც ნიუ-იორკში გაიხსნება 12 ნოემბერს, დანიშნა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის მეთაური — დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი; დელეგაციის მეთაურის მოადგილე — ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე; დელეგაციის წევრები — გ. ნ. ზარუბინი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში; ა. ა. სობოლევი — სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში; ტ.-ტ. ტაჟიბაევი — ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის სპეაკი

2 ნოემბერს მოსკოვიდან გაემგზავრნენ ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი პოლ-ანრი სპა�ი და მისი თანამგზავრები — საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ლეი შეევენი, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს გენერალური აღმინისტრაციული დირექტორი ვიკონტი ობერ დე ტიეზი და სხვები. სტუმრებთან ერთად გაემგზავრა აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ბელგიაში ვ. ი. ავილოვი.

ბელგიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე სტუმრები გააცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ა. ნ. კოსიგინმა და ვ. ა. მალეშევმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა, პრესისა და რადიოს წარმომადგენლებმა.

ბ-ნი სპაააკი აეროდრომზე გააცილეს აგრეთვე ბელგიის ელჩმა სსრ კავშირში ვალტერ ლორიდანმა და საელჩოს თანამშრომლებმა, ნიდერლანდის ელჩმა სსრ კავშირში დანიელ ი. ფონ ბალიუსეკმა და ლუქსემბურგის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში პ. პიუტცმა. (საკდესი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია

ნიუ-იორკი. 2 ნოემბერი. (საკდესი). შესვენების შემდეგ მღელვარე სიტყვა წარმოთქვა იორდანიის დელეგატმა რიფაიმ. მან სამმაგ აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ უწოდა „საშინელი დანაშაული“, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელის სახელმწიფო ინგლისმა და საფრანგეთმა გამოიყენეს როგორც იარაღი აგრესიისა, რომელიც დაწყებულია არა მარტო სუეცის არხის იარაღით ხელში ჩაგდების მიზნით, არამედ იმისთვისაც, რომ დაამხონ ეგვიპტის მთავრობა და ჩაახშონ არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. იორდანიის სამეფომ, თქვა მან, საქმეყნოდ იკისრა მხარი დაუჭიროს ეგვიპტეს აგრესიის მოგერიებაში. ჩვენ ერთმანეთს შევფიცეთ ერთად დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი არსებობა, ჩვენი თავისუფლება და ჩვენი მომავალი.

რიფაიმ აღნიშნა ამერიკის რეზოლუციის პროექტის სერიოზული ნაკლოვანებანი და თქვა, რომ „იგი არ გმობს აგრესიის და არ ითვალისწინებს სანქციებს აგრესორთა წინააღმდეგ და სანქციას არ აძლევს აგრესიის მსხვერპლისათვის დახმარების გაწევას იმ შემთხვევაში, თუ გენერალური ასამბლეის რეკომენდაციები მხედველობაში არ მიიღეს ინგლისმა, საფრანგეთმა და ისრაელმა. ამასთან ერთად რიფაიმ განაცხადა, რომ იგი მზად არის ხმა მისცეს ამ რეზოლუციას, რადგან იგი მიაჩნია დაუყოვნებლივ ღონისძიებად.

სირიის დელეგატმა რაფიკ ალ-აშამ აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ უწოდა „ყველაზე უსინდისო შეთქმულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიაში“. ანლა, თქვა ალ-აშამ, არ არის ვრცელი და ლამაზი სიტყვების წარმოთქმის დრო. ამ წუთში ეგვიპტის ქალაქები წარმოადგენენ ინტენსიური დაბომბვის სამიზნოს, იკლებენ ადამიანები. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ დაუყოვნებლივ და მტკიცედ.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის დელეგატი ა. ა. სობოლევი.

ყველაფერი მოწმობს იმას, თქვა სობოლევმა, რომ ისრაელის აგრესია, ისევე როგორც ინგლისისა და საფრანგეთის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, ხორციელდება წინასწარ მომზადებული ერთიანი გეგმით, რომელიც შეიმუშავეს ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა. ისრაელის აგრესია დაგეგმილი იყო ამ მიზნით, რომ შეექმნათ საბაბი ინგლის-საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მიერ სუეცის არხის ხელში ჩაგდებისთვის.

ისრაელის მთავრობა, რომელმაც აგრესიულ მოქმედებას მიმართა ეგვიპტის წინააღმდეგ, იარაღი გახდა იმპერიალისტური წრეების ხელში, რომლებიც ისწრაფვიან აღადგინონ თავიანთი კოლონიური ბატონობა აღმოსავლეთში, და ამით გამოიწვია ყველა არაბი ხალხი, აღმოსავლეთის ყველა ხალხი, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმის წინააღმდეგ. ისრაელის მმართველი ექსტრემისტული წრეების ეს მოქმედება დანაშაულებრივი და საშიშია უწინარეს ყოვლისა თვით ისრაელის სახელმწიფოსა და მისი მომავლისათვის.

სავსებით ცხადია, რომ ინგლისისა და საფრანგეთის განცხადება სუეცის არხით ნაოსნობის დაცვის შესახებ მხოლოდ საბაბია ეგვიპტის სახელმწიფოს წინააღმდეგ ინგლისისა და საფრანგეთის აგრესიული მოქმედების მისაჩქმალავად.

საბჭოთა კავშირის ხალხები, განაცხადა დასასრულ ა. ა. სობოლევმა, თავიანთ ხმას უერთებენ მთელი მსოფლიოს ხალხთა მოთხოვნას, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღოს გადამჭრელი და ეფექტიანი ღონისძიებანი ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიულ მოქმედებაზე. ეგვიპტის ხალხი, ინდოეთისა და სხვა ხალხები, ებრძვიან ეგვიპტეს, ებრძვიან ინგლისელ, ფრანგ, ებრაელ ბატონებს, ებრძვიან ბოროტებას, ებრძვიან ბნელეთის ძალებს, ებრძვიან ადამიანთა ბედნიერებისა და ეროვნული თავისუფლებისთვის. ეს ბრძოლა ბოლოს მოუღებს ბნელეთის ძალებს, ბოლოს მოუღებს ბნელეთის ძალებს, ბოლოს მოუღებს ბნელეთის ძალებს,